№8

აგვისტო, 2023წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

ქვემო ქართლის რეგიონის თითოეული მუნიციპალიტეტისათვის რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ დამატებით ტრანშის ფარგლებში 2 300 000 ლარის ოდენობით თანხა გამოყო

გვ:3

ბოლნისის მუნიციპალიტეტში პროექტი ,,სოციალური დაცვის გაძლიერება საქართველოში" ხორციელდება

გვ:2

ახალგაზრდები, რომლებიც საერთო ძალისხმევით ცდილობენ ძველი კინოთეატრის აღდგენას

გვ:4

ბოლნისის მუნიციპალიტეტში პროექტი ,,სოციალური დაცვის გაძლიერება საქართველოში" ხორციელდება

ბოლნისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა,რომლის ფარგლებშიც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი ,,სოციალური დაცვის გაძლიერება საქართველოში'', სამ საპილოტე მუნიციპალიტეტში: ბოლნისი, ახალციხე, დუშეთი ხორციელდება, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტებში სოციალური პროგრამების მონაწილეობითი დაგეგმვის მიდგომის დანერგვას, იმისთვის რომ მოქმედი სოციალური პროგრამები მეტად პასუხობდეს ადგილობრივი სამიზნე ჯგუფების საჭიროებებსა და ინტერესებს, ეფუძნებოდეს მონაწილეობითი დაგეგმვის პრინციპებს.

,,მოგახსენებთ, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს მოსახლეობის სოციალური საჭიროებების ხელმისაწვდომი სერვისებით უზრუნველყოფა წარმოადგენს, სწორედ ამიტომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვაფინანსებთ და შემუშავებული გვაქვს საჭიროებაზე მორგებული არაერთი

სოციალური დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამა, ამასთანავე გამომდინარე თანამედროვე მოთხოვნებიდან, სოციალური პროგრამების სერვისების გაუმჯობესების მიმართულებით მაღალკვალიფიციურ ექსპერტებთან ერთად ჩართული ვართ ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ არაერთ პროექტში, ერთ-ერთი მათგანია „სოციალური დაცვის გაძლიერება საქართველოში", რომელსაც ახორციელებს ჩეხეთის განვითარების სააგენტო საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან თანამშრომლობით და მისი მიზანია ხელი შეუწყოს ჩვენს მუნიციპალიტეტში სოციალური პროგრამების მონაწილეობითი დაგეგმვის მიდგომის დანერგვას. ასევე ჩართული ვართ ევროკავშირის მხარდაჭერილი პროექტის – სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ინკლუზიური და მწვანე პოსტ-კოვიდ აღდგენისთვის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს CENN პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად და უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოების, ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართულობას სოციალური სერვისების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესებაში.

ექსპერტთა გუნდი მუშაობს ჩვენთან ერთად, რათა დაგვეხმარონ მუნიციპალური სოციალური პროგრამებისთვის სამიზნე ჯგუფების იდენტიფიცირებაში, საჭიროებების გამოვლენასა და ადგილობრივი თემის ჩართულობით პროგრამების დაგეგმვაში.

რა ეტაპზეა მოქალაქეების მიერ წარმოდგენილი საპროექტო იდეები ბოლნისის მუნიციპალიტეტში

„სამოქალაქო ბიუჯეტირება- დაგეგმე შენი ბიუჯეტი" -ს ფარგლებში ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში, მოქალაქეთა ინიციატივებისთვის 1 500 000 (მილიონ ხუთასი ათასი) ლარი იქნა გათვალისწინებული. პროექტის ფარგლებში სულ 5 ინიციატივა დაფინანსდა, თითოეული პროექტის ღირებულება 300 000 ლარს შეადგენს. პროექტები ბოლნისის მუნიციპალიტეტში კენჭისყრით გამოვლინდა.

მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი საპროექტო იდეებისთვის ხმის მიცემა 31 ოქტომბერს დასრულდა, რის შემდეგაც გამოვლინდა გამარჯვებული პროექტები: 1. ქალაქის კინოთეატრის კონსერვაცია- რესტავრირება. 2. ქალაქის სკვერის მოწყობა ფეხბურთის მოედნით, ტრენაჟორებითა და სკეიტ პარკით. 3. სოფელ ცურტავში სკვერის მოწყობა. 4. სოფელ ბოლნისში სკოლამდელი სასწავლო ცენტრის განვითარება თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისად. 5. სოფელ რაჭისუბანში სკვერის მოწყობა.

რა ეტაპზეა და როგორ მიმდინარეობს მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი საპროექტო იდეების განხორციელება, ამაზე ვრცლად ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი კონსტანტინე კორძაძე საუბრობს:

პროექტის ფარგლებში დაიგეგმა 5 ინფრასტრუქტურული ობიექტის ჩაბარება, სოფელ ფარიზში უკვე დაპროექტებულია მინი სტადიონისა და სკვერის მოწყობის სამუშაოები, რის შემდეგაც გავა ტენდერში და უახლოეს მომავალში დაიწყება სამუშაოები, ასევე მიმდინარეობს ქალაქში მდებარე კინოთეატრის შენობის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი, სადაც სველი წერტილების და გადახურვის სამუშაოები ხორციელდება. მეორე ეტაპისთვის საჭიროა პროექტირება, რის შემდეგაც განხორციელდება დარჩენილი სამუშაოები. ქალაქში, ათონის ქუჩაზე დაწყებულია სტადიონის მოწყობის პროექტირება, მიმდინარეა პროექტირება სოფელ ბოლნისშიც, რის შემდეგაც სამშენებლო პროექტზე გავუშვებთ. რაც შეეხება სოფელ რაჭისუბანს, აქ ადგილის შერჩევის გამო შეიქმნა მცირე პრობლემა დაპროექტირებასთან დაკავშირებით, თუმცა ხმათა უმრავლესობით, სოფლის ქვედა ნაწილში, სადაც მუავე წყალთან დამაკავშირებელი ბილიკი გადიოდა, მოეწყობა სკვერი. საერთო ჯამში დაწყებულია 2 პროექტის მშენებლობა და სამ ობიექტზე პროექტირება დასრულების ფაზაშია.

ქვემო ქართლის რეგიონის თითოეული მუნიციპალიტეტისათვის რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ დამატებით ტრანშის ფარგლებში 2 300 000 ლარის ოდენობით თანხა გამოყო

გიორგი დოხტურიშვილის ხელმძღვანელობით, ქვემო ქართლის რწმუნებულის ადმინისტრაციაში საკონსულტაციო საბჭოს სხდომა გაიმართა, სადაც რეგიონისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელმა პირებმა იმსჯელეს და აღნიშნული თანხის ფარგლებში, ყველა მუნიციპალიტეტში, სხვადასხვა მიმართულებით განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებს მხარი დაუჭირეს.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის ბოლომდე, თითოეულ მუნიციპალიტეტში მოხდება 1 150 000 ლარის ათვისება და განხორციელდება როგორც საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები, ისე მოეწყობა საფეხბურთო მინი სპორტული მოედნები, მოხდება საცხოვრებელი კორპუსების გამაგრება და გარე ფასადებს ჩაუტარდებათ რეაბილიტაცია.

საკონსულტაციო საბჭოს სხდომას რწმუნებულის მოადგილეები: ნიკა კობახიძე, ილია ჯალაღანია, კახა კობერიძე, რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები ესწრებოდნენ.

ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა

ამერიკის საერთაშორისო განვითარების პროგრამა „საჯარო-კერძო სექტორებს შორის რეგულარული დიალოგის ხელშეწყობა პარტნიორ მუნიციპალიტეტებში“ USAID-ის პროექტის „ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის“ ფარგლებში, 22 აგვისტოს ბოლნისის ღვინის სახლში შეხვედრა გაიმართა საჯარო, კერძო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისთვის შეხვედრა 3 ეტაპად მიმდინარეობდა, წარმოდგენილმა ფოკუს ჯგუფებმა იმსჯელეს კერძო და საჯარო სექტორის ურთიერთთანამშრომლობისა და დიალოგის პლატფორმის ჩამოყალიბებაზე.

ირმა ხვედელიანი, USAID-ის პროგრამის ექსპერტი-კონსულტანტი: ჩართული მხარეებისგან მოვისმინეთ მათი მიზნები და დამოკიდებულება საჯარო და კერძო სექტორს შორის. ჩვენ კი მივაწოდეთ ინფორმაცია თუ რას ემსახურება საჯარო და კერძო სექტორის დიალოგი, რა ორმხრივი სარგებლობის მოტანა შეუძლია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.

ვალენტინა ნავერიანი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე: ჩვენთვის პრიორიტეტულია მოქალაქეებთან ურთიერთობა, ნებისმიერ საკითხში, რომელიც დაკავშირებული იქნება ბიზნესისა და კერძო სექტორის განვითარებასთან, მათ ურთიერთობასთან, კანონმდებლობის ფარგლებში მზად ვართ, რომ კვალიფიციური დახმარება გავუწიოთ და ხელი შევუწყოთ ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას.

მართვის მოწმობის მისაღებ გამოცდას, 2023 წლის 1-ელი სექტემბრიდან, ავტომანქანის ტექნიკურ გამართულობასთან დაკავშირებული კითხვები დაემატება

2023 წლის 1-ელი სექტემბრიდან, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატრანსპორტო საშუალების ტექნიკურ გამართულობასთან დაკავშირებული კითხვები ემატება. აღნიშნული კითხვები დამტკიცებულია შინაგან საქმეთა მინისტრის N598 ბრძანებით.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში „ინტერპრესნიუსს“ განუმარტეს, „B“ კატეგორიის სატრანსპორტო

საშუალების მართვის უფლების მისაღები გამოცდისთვის განსაზღვრულია 20 კითხვა, საიდანაც მძღოლობის კანდიდატს 2 დავალება მიეცემა. გამოსაცდელს კითხვებზე პასუხის გაცემა ვიზუალურად ჩვენებით, ან ზეპირად/თავისუფალი თხრობით გადმოცემით შეეძლება.

მათივე ცნობით, იმ შემთხვევაში, თუ მძღოლობის კანდიდატი გამომცდელის მიერ მიცემულ დავალებას ვერ შეასრულებს, მსუბუქ შეცდომად ჩაეთვლება.

გარდა აღნიშნული ცვლილებისა, მიმდინარე წლის 1-ელი სექტემბრიდან, მართვის უფლების მისაღები გამოცდის პრაქტიკული ნაწილი ორეტაპიანი “C” და “D” კატეგორიების და “C1” და “D1” ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებებისთვის გახდება.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას აგრძელებს და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, 1-ლი სექტემბრიდან “C” და “D” კატეგორიების და “C1” და “D1” ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები გამოცდის პრაქტიკული ნაწილი ორეტაპიანი ხდება. ცვლილებების მიხედვით, პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის (მოედანი) წარმატებით ჩაბარების შემდეგ, მძღოლობის კანდიდატი გადაინაცვლებს მეორე ეტაპზე, რაც რეალურ საგზაო მოძრაობის პირობებში გამოცდის ჩაბარებას გულისხმობს,“ - აცხადებენ მომსახურების სააგენტოში.

შეგახსენებთ, „B“ და „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდები ორეტაპიანი 2022 წლის 25 აპრილიდან გახდა.

ახალგაზრდები, რომლებიც საერთო ძალისხმევით ცდილობენ ძველი კინოთეატრის აღდგენას

მგზნებარე ახალგაზრდების ჯგუფმა დაისახა შესანიშნავი მიზანი -მივიწყებული საგანძურის, ძველი კინოთეატრისთვის ახალი სიცოცხლის შთაბერვა. მემკვიდრეობის შენარჩუნების სურვილითა და კულტურული აღორძინების საერთო ხედვით გაერთიანებულმა ახალგაზრდებმა, საკუთარ თავზე აიღეს ,,დაბერებული" კინოს ყოფილი დიდების აღდგენა. დიდი მონდომების წყალობით, მათ თითქმის მოახერხეს სახსრებისა და ადამიანური რესურსის მობილიზება, ამ ძვირფასი ღირსშესანიშნაობის დასაბრუნებლად.

ის, რაც ოდესღაც წარსულის ჩამქრალი რელიქვია იყო, ახალგაზრდები ცდილობენ გარდაქმნან მხატვრული გამოხატვის, საზოგადოების ჩართულობისა და საერთო მოგონებების ძლიერ კერად. განვლილ გზაზე და სამომავლო გეგმებზე საინიციატივო ჯგუფის წევრს ლაზარე გობეჯიშვილს ვესაუბრეთ.

- ბევრი გვსმენია თქვენი თავდაუზოგავი შრომის შესახებ, რამ შთაგაგონათ თქვენ და სხვა ახალგაზრდები წამოგეწყოთ ძველი კინოთეატრის აღდგენის პროექტი?

- მადლობა საქმის ასეთი შეფასებისა და სიტყვებისთვის. პირველი შთაგონება მივიღეთ მაშინ, როცა ჩვენ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეები ვიყავით, ჩვენმა მეგობარმა(თორნიკე ადამაშვილი) 2014 წელს, ერთი კვირის განმავლობაში გააცოცხლა კინოთეატრის კედლები, სივრცე ახმაურდა, ადგილობრივ ახალგაზრდებს შორის გაჩნდა ახალი მუხტი და ინტერესი, მივიწყებული შენობა დაგვებრუნებინა ქალაქის ცხოვრებაში. მაშინ დაიწყო თორნიკემ პირველი ადვოკატირების კამპანია კინოთეატრის გადასარჩენად, ჩვენ კი მივხვდით და დავიჯერეთ, რომ არავის და

არაფერს უნდა დავლოდებოდით, იმის მისაღებად რაც ძალიან მოგვწონდა და გვჭირდებოდა, ჩვენვე უნდა ჩავრთულიყავით პროცესში, პირველივე ნაბიჯებმა მოიტანა მნიშვნელოვანი შედეგი, შენობა დაბრუნდა ქალაქის საკუთრებაში, შემდეგ იყო რამდენიმეწლიანი შედარებით პასიური პერიოდი და ცოტა იმედგაცრუებაც, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, კინოთეატრის შენობა და მასთან დაკავშირებული იდეები სულ რჩებოდა ჩვენს გონებასა და გეგმებში და, ალბათ, იქვე იკრებდა ძალას იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ თავიდან დაგვეწყო ყველაფერი. ასაკის მატების, გამოცდილებების გაზრდისა და ახალი ცოდნის მეშვეობით, მივხვდით კინოთეატრის იდეის განხორციელების მნიშვნელობას უკვე არა ემოციურად, არამედ ცნობიერად, კიდევ უფრო მეტად დავრწმუნდით მსგავსი სივრცის საჭიროებასა და აუცილებლობაში. ეს იყო ალბათ ჩვენი შთაგონების მეორე ეტაპი, რომელმაც კვლავ დაგვაბრუნა კინოთეატრის გაცოცხლების იდეასთან.

- მჯერა, რომ ერთი მიზნით გაერთიანებულ ახალგაზრდობას ბევრი რამ შეუძლია. გვიამბეთ, როგორ გაერთიანდით და როგორ შეიქმნა ერთიანობის განცდა?

- რამდენიმე ადამიანი დავუკავშირდით ერთმანეთს და გავერთიანდით საერთო იდეისა და მიზნისთვის 2015 წელს, როცა პირველი ნაბიჯები იდგმებოდა ჩვენი ქალაქის კინოთეატრის გადასარჩენად, გუნდი არის ჩვენი სამეგობრო წრე. ყოველთვის მზად ვართ გვერდში დავუდგეთ ერთმანეთს, ერთმანეთის იდეებისა და საქმეებისთვის, მაგრამ კინოთეატრის გაცოცხლების იდეა მაინც განსაკუთრებული შემთხვევა იყო და არის, თითოეული ვიაზრებდით, რომ ეს არა მხოლოდ რომელიმე ჩვენი მეგობრის საქმის ან ერთმანეთის მხარდაჭერაა, არამედ ეს არის საქმე ჩვენი ქალაქის, ქვეყნისა და მომავლისთვის. გუნდის წევრებს შორის უმეტესობას კინოთეატრს მიღმა ცალკე საკეთებელი საქმეც აქვს, მაგრამ ყოველ ჯერზე, როცა კინოთეატრს ჭირდება ადამიანური რესურსი, თითოეული მათგანი მზადაა პირადი საქმეები გვერდზე გადადოს და ემსახუროს ჩვენს საერთო იდეას.

- როგორ შეძელით თქვენ და სხვა ახალგაზრდებმა კინოთეატრის გასაცოცხლებლად საჭირო რესურსის შეგროვება?

- ვერ ვიტყვი რომ კინოთეატრის გასაცოცხლებლად საჭირო რესურსი შევაგროვეთ, რადგან კინოთეატრი ჯერ კიდევ არ არის გაცოცხლებული, მიუხედავად ჩვენი მცდელობებისა, შენობაში არსებული პირობების (უფრო სწორად პირობების არ ქონის გამო) სიცოცხლე მხოლოდ ფრაგმენტალურად უბრუნდება, ეს კი არაა საკმარისი, მიზანი მიღწეული იქნება მაშინ, როცა ამ შენობის ფუნქციონირება შეიძენს სტაბილურობას. ამ ეტაპზე გვაქვს მხოლოდ მცირე ტექნიკური რესურსი, რომელიც ასეთ პირობებში მხოლოდ სამოყვარულო ჩვენებებისთვისაა გამოსადეგი, ეს არ არის ნამდვილი კინოთეატრისთვის შესაბამისი ტექნიკა. თავიდან, როცა დავიწყეთ ჩვენებების გამართვა, ტექნიკით გვეხმარებოდა ჩვენი მხარდამჭერი გამომცემლობა „indigo" და სხვა მხარდამჭერი ორგანიზაციები, ერთი წლის წინ კი ამ ეტაპზე ჩვენს ხელთ არსებული ტექნიკის შეძენა მოვახერხეთ US-AID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით.

- რა გამოწვევების წინაშე აღმოჩნდით განახლების პროცესში და როგორ გადალახეთ ისინი?

- ყოველთვის ვიცოდით, რომ უამრავი გამოწვევის გადალახვა მოგვიწევდა წარმატების მისაღწევად, მაგრამ ეს გამოწვევები მაინც გაცილებით იმაზე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ წარმოვიდგენდით. პირველი გამოწვევა იყო ჩვენი მცირე ადამიანური რესურსის სწორად გადანაწილება, პირველი ჩვენებების გამართვისას ენერგიის ამოწურვის ზღვარზე გავდიოდით

თითოეული, შემდეგ კი პრაქტიკამ და შეძენილმა გამოცდილებამ გვასწავლა, როგორ უნდა გვემოქმედა გუნდურად უფრო ეფექტურად და შედეგიანად. გამოწვევა აღმოჩნდა სწორი საკომუნიკაციო ენის პოვნა როგორც მაყურებელთან მიმართებაში, ასევე მედიასთან და სახელმწიფო ინსტიტუციებთან, ასევე გამოწვევა იყო საკითხისთვის აქტუალურობის შეძენა, რომელიც გადავლახეთ ბევრი კეთილმოსურნე ადამიანის მხარდაჭერით. ვფიქრობ, ასევე აწ უკვე გადალახული გამოწვევაა კინოინდუსტრიის დარგში მოღვაწე ადამიანებთან კომუნიკაცია და მათი მხარდაჭერა, ყველა რეჟისორი თუ პროდიუსერი, რომელთათვისაც გვითხოვია ფილმის ჩვენების ნებართვა, სიამოვნებით გვეთანხმება და შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში ასევე სიამოვნებით სტუმრობს ბოლნისის კინოთეატრს. ყველაზე მნიშვნელოვანი და დღემდე გადაულახავი გამოწვევაა შენობის ტექნიკური და ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, რაც არის მთავარი დამაბრკოლებელი ამ პროცესში წარმატების მისაღწევად. ვფიქრობ ამ პრობლემის მალე მოგვარების შემთხვევაში, ახალი და უფრო დიდი შესაძლებლობების კარებს შევაღებთ, შესაძლოა ბოლნისის კინოთეატრი არა მხოლოდ ქალაქის ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდეს, არამედ ქვეყნის მასშტაბით მნიშვნელოვანი კულტურული კერა.

- რა სახის მხარდაჭერა მიიღეთ ადგილობრივი საზოგადოების ან სხვა დაინტერესებული მხარეებისგან აღდგენის მცდელობებში?

- ამ წლების განმავლობაში უამრავი ადამიანისგან მივიღეთ სიტყვიერი, ემოციური და საქმიანი მხარდაჭერა, ესენი იყვნენ როგორც თანაქალაქელები, ასევე დედაქალაქსა და სხვა რეგიონებში მცხოვრები ადამიანები. ხშირად ვღებულობთ ადამიანებისგან სიტყვიერ მხარდაჭერას, გვესმის რომ ისინიც მოუთმელად ელიან კინოთეატრის ახალ სიცოცხლეს, კარგად იაზრებენ და ხვდებიან ამ იდეის განხორციელების მნიშვნელობასა და აუცილებლობას, არაერთხელ გამოუთქვამთ სურვილი რიგით მოქალაქეებს ფულადი დახმარებით წვლილი შეიტანონ კინოთეატრის რეაბილიტაციაში, თუკი იარსებებს ამ მიზნისთვის შექმნილი საბანკო ანგარიში, ასეთი სურვილის არსებობა კი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს პროექტის მნიშვნელობას.

- როგორ წარმოგიდგენიათ აღდგენილი კინოს წვლილი საზოგადოებასა და მის კულტურულ ცხოვრებაში?

- ჩვენს წარმოდგენაში კინოთეატრის შენობა ბოლნისელთა საყვარელი თავშეყრის ადგილი უნდა გახდეს და არა მხოლოდ დიდ ეკრანზე კინოდარბაზში ფილმების ნახვის გამო, ეს უნდა იყოს სამსჯელო სადისკუსიო სივრცე, სადაც ყველა თაობის ადამიანები იპოვნიან თავიანთ კომფორტს. სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებებით დატვირთული სივრცე, მეტ შესაძლებლობას მისცემს როგორც ადგილობრივ სახელოვნებო დარგებში მოღვაწე ადამიანებს, ასევე აუდიტორიას, რომლისთვისაც შეიქმნება შესაძლებლობა გაეცნოს დღეის მდგომარეობით უცნობ შემოქმედებას და დაუბრუნოს ავტორებს უკუკავშირი, რაც ხელოვნებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ნამდვილი, ცოცხალი ურთიერთობების სივრცე, რომელშიც არამხოლოდ აღმოვაჩენთ თანამოაზრეებს და საერთო იდეებს, არამედ გამოვიყენებთ თანაშექმნისთვის საჭირო პლატფორმად.

- გარდა კულტურისა და საზოგადოებისა, ხომ არ ფიქრობთ, რომ აღდგენილმა კინოთეატრმა შეიძლება გავლენა იქონიოს ქალაქის ეკონომიკისა და ტურიზმის მიმართულებით განვითარებაზე?

- თანამედროვე შემოქმედებითი ინდუსტრიები პირდაპირ კავშირშია ეკონომიკასა და ტურიზმთან, არაერთი წარმატებული თანამედროვე ქალაქის მაგალითი არსებობს, რომლებიც ტურისტულად საინტერესო სწორედ შემოქმედებითი ინდუსტრიებისა და კულტურული ღონისძიებების წყალობით გახდა, მზარდი ტურიზმის ტენდენცია კი პირდაპირ ითარგმნება მზარდ ეკონომიკაში. შეიძლება დღეს ვინმესთვის ცოტათი დაუჯერებლად ჟღერდეს, მაგრამ თუ მოახერეს სხვა ქალაქებმა, რატომ ვერ უნდა მოვახერხოთ ჩვენ?! უამრავი წინაპირობა გვაქვს იმისთვის, რომ ტურისტულად კიდევ უფრო მიმზიდველი გახდეს ჩვენი ქალაქი. ბევრი განსხვავებული ხასიათის კულტურული ღონისძიების, ფესტივალებისა და საინტერესო არტისტების მეშვეობით ბოლნისის კინოთეატრს შეეძლება ბევრი ტურისტისა და ვიზიტორის მოზიდვა, რაც, რა თქმა უნდა, დადებითად აისახება ქალაქის ყოფასა და ეკონომიკაზე.

- ზოგადად მდგრადობა არც თუ ისე მარტივია, სჭირდება ფინანსური სახსრები, ადამიანური რესურსი და სხვა მრავალი რამ. როგორ გეგმავთ უზრუნველყოთ აღდგენილი კინოს მდგრადობა და გრძელვადიანად შენარჩუნება?

- მიუხედავად იმისა, რომ დღეს არსებული სხვა უამრავი პრობლემის გათვალისწინებით თითქოს ეს საკითხი ნაკლებად აქტუალურია, ჩვენ მაინც ბევრი გვაქვს ნაფიქრი ამასთან დაკავშირებით, დარგში მოღვაწე გამოცდილი ადამიანების დახმარებით გვაქვს შემუშავებული კინოთეატრის ფუნქციონირებისა და მართვის შესაძლო სხვადასხვა მოდელები. თითოეულ მათგანში გათვალისწინებულია ძირითადი, მთავარი მიზნები. კინოთეატრის ფუნქციონირება არ უნდა იყოს კომერციული მიზნებით დატვირთული, ეს გამორიცხულია, მაგრამ ამავდროულად შენობამ უნდა მოახერხოს თავისთვის სასიცოცხლოდ საჭირო მატერიალური დოვლათის შექმნა, რაც იქნება წინაპირობა ფინანსური დამოუკიდებლობის, ერთგვარი სოციალური საწარმოს მოდელი, რომლის მიხედვითაც ყველანაირი შემოსავალი სივრცის განვითარებასა და მისი ფუნქციების გამრავალფეროვნებას ემსახურება. ფინანსურთან ერთად მდგრადობისთვის აუცილებელი პირობაა შინაარსობრივი დამოუკიდებლობა, შინაარსის დამკვეთი ყოველთვის უნდა იყოს საზოგადოება, ყველაფერი რაც მოხდება შენობაში უნდა იყოს საზოგადოებრივ ინტერესებზე მორგებული და განვითარებაზე ორიენტირებული. ერთფეროვნებისგან თავის დასაზღვევად, იმისთვის რომ სივრცის განვითარებას არასდროს მოაკლდეს ახალი იდეები და ფანტაზია, ვფიქრობთ ყოველთვის, ყველა ეტაპზე მომდევნო და ახალი თაობები უნდა იყვნენ ჩართულები კინოთეატრის მართვის პროცესში.

- და ბოლოს, როგორია თქვენი უახლოესი გეგმები კინოთეატრთან დაკავშირებით? რა პროგრამები და ღონისძიებები იგეგმება?

- ვფიქრობ საინტერესო და განსხვავებული ჩვენებებით დატვირთული დღეები გველის, ჩვენი სურვილია ყველა თაობისა და განსხვავებული ინტერესების მაყურებლისთვის საინტერესო ფილმები ვაჩვენოთ, ვფიქრობთ შესაძლოა ფილმების ჩვენებას არაფორმალური საგანმანათლებლო ღონისძიებებიც დაემატოს. იმედი გვაქვს მალე შენობის მდგომარეობაც გაუმჯობესდება და მეტ შესაძლებლობას მოგვცემს. ვაგრძელებთ საქმიანობას უკეთესი მომავლის იმედით!

- მადლობა საინტერესო კითხვებისა და მხარდაჭერისთვის

წარმატების ჭეშმარიტი საზომი მდგომარეობს არა იმაში, რასაც მივაღწიეთ, არამედ პოზიტიური ცვლილების სურვილში!

ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი კი, თქვენი გუნდია.

გისურვებთ წარმატებას!

მარიამ ონიანი

ლონდონის საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის ქართველი დელეგატები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია „შეიმეცნე შენი სამშობლო საქართველო“ დასკვნითი ღონისძიება გაიმართა , რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორის დეპარტამენტისა და ქართული კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო ასოციაცია ,,აიელის" საორგანიზაციო საბჭოს მოწვევით ჩატარდა, პროექტი 2020 წელს, პანდემიის პერიოდში დაიწყო და ათ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას მოიცავდა, კონფერენციის იდეის ავტორი გაერთიანებული სამეფოს

პირველი ქართული სკოლის დამფუძნებელი ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანია. კონფერენცია მიზნად ისახავს მსოფლიოში მიმოფანტულმა ქართველმა მოზარდებმა, საგანმანათლებლო პროექტის მეშვეობით მოძებნონ, შეისწავლონ და გააანალიზონ, შეადარონ მოკვლეული მასალები უძველესი ქართული ცივილიზაციის შესახებ, გაავრცელონ მოპოვებული მასალები და აღადგინონ კულტურულ- ისტორიული მეხსიერება.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ როგორც საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი მოზარდები, ასევე, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო თუ კერძო სკოლების მოსწავლეები, პედაგოგები, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები. დასკვნით ღონისძიებაში ჩართული იყო 450-მდე მონაწილე, მათ შორის საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სასულიერო სკოლის მოსწავლეები, რომლებსაც ,,საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო ელჩი – აიელი რაინდი'' ეწოდათ.

ლონდონის საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციაზე საქართველოს საპატრიარქოს, იოანე ბოლნელის სახელობის სკოლის მოსწავლეები უკვე მე-3-ე წელია აქტიურად არიან ჩართულები დელეგატებად, სადაც არაერთი სემინარი გაიარეს. ხვდებოდნენ მეცნიერებს, ეცნობოდნენ მათ ნაშრომებს და ამუშავებდნენ პროგრამით გათვალისწინებულ თემებს. ახალგაზრდა დელეგატებს, 2020-23 წლების მანძილზე, პროექტით გათვალისწინებული 10 თემის თეორიული მასალის დამუშავება და პრაქტიკული დავალების შესრულება ევალებოდათ.

ლონდონის საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის იდეა, ლონდონის საკვირაო სკოლის ხელმძღვანელს ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანსა და ეკა კარტოზიას ეკუთვნით, რომელიც მიზნად ისახავს საზღვარგარეთ მყოფი ქართველი ბავშვებისთვის საქართველოს ისტორიისა და შესაბამისად, მსოფლიო ცივილიზაციაში მისი როლის შესწავლას, ქართული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას.

რას ემსახურება საკვირაო სკოლა, როგორია მათი სამომავლო გეგმები, რა მნიშვნელობა აქვს ამ პროექტს ემიგრაციაში მყოფი ახალგაზრდებისთვის, ამ და სხვა კითხვებზე გვესაუბრება პროექტის ავტორი, ლონდონის საკვირაო სკოლის ხელმძღვანელი, ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანი:

-ქალბატონო ლიანა, საიდან გაჩნდა იდეა?

-ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ქართულ კულტურულ მემკვიდრეობაზე, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთ ფუძემდებელზე. უამრავი მეცნიერული კვლევები, მტკიცებები, ფაქტები არსებობს ამ მიმართულებით, სამწუხაროდ, არ არსებობდა „ქართულ ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობაზე“ სახელმძღვანელო და არც დღეს გაგვაჩნია ასეთი სახის სამეცნიერო წიგნი.

ქართული კულტურულ-ისტორიული მახსოვრობის დაკარგვის მრავალსაუკუნოვანმა ფაქტმა განსაზღვრა ჩვენი ერის უნდობლობა ახალ და მეცნიერულად დამტკიცებულ ფაქტზეც კი.

ქართველი ერის უძველესი, 4-ათასწლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორია ითხოვდა შესწავლა-გაანალიზებას, რაც ახალი სასწავლო პროგრამის შექმნასა და პროფესიონალთა მოძიება-ჩართვას გულისხმობდა.

მოზარდებში არსებული ეჭვი რომ გაგვეფანტა და ჩვენს შორის, ურთიერთ თანამშრომლობისა და პატივისცემის ქართული ტრადიციული ინსტიტუტი აღგვედგინა, საჭირო იყო ახალგაზრდებში არსებული უარყოფითი სტერეოტიპებისგან მათი გონების განთავისუფლება, როგორიცაა,

საქართველო ისეთი პატარაა, რომ მასზე არავინ არაფერი იცის მსოფლიოში;

საქართველოს ისტორიას არავინ იცნობს, ვინაიდან მისი ისტორია ჩვენი ერის ფარგლებს არც კი სცილდება;

რომ „ქართველებს ტრაბახი გვიყვარს“;

„რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“ სასაცილოა და მეტი არაფერი, ვინაიდან ისტორიულად არავითარი მტკიცებულება არ არსებობს.

-ქალბატონო ლიანა, პროექტის მიზანზე რომ გვესაუბროთ

- ამ ყველაფრიდან და არსებული ფაქტებიდან გამომდინარე, დავსახეთ შემდეგი მიზნები:

გავაცნოთ მსოფლიოს ჩვენი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა;

გავაანალიზოთ და შევისწავლოთ მსოფლიოსთვის ცნობილი მეცნიერული აღმოჩენები პროტოქართველურ-ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ;

შევისწავლოთ ჩვენი სამშობლოს პროტოქართველური, 4-ათასწლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორია, რათა აღვადგინოთ დაკარგული ისტორიული მახსოვრობა;

ჩავუყაროთ საფუძველი მშვიდობიან თანამშრომლობას სამეცნიერო საწყისებზე;

დავეხმაროთ ქართველ მოზარდთა მსოფლიო დიასპორას ისტორიული სამშობლოს - საქართველოს უძველესი ცივილიზაციის შემეცნებაში;

აღვზარდოთ ქართველ მოზარდთა მსოფლიო დიასპორა, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო ელჩებად მსოფლიოში;

ქართველ მოზარდთა მსოფლიო დიასპორა გავაერთიანოთ საერთაშორისო პროექტების მეშვეობით;

საფუძველი ჩავუყაროთ ქართული კულტურის აღნიშვნის ტრადიციას;

შევისწავლოთ ქართველი ერის უძველესი კულტურული მემკვიდრეობა;

წარმოვაჩინოთ ქართული კულტურული მემკვიდრეობის ნამდვილი არსი;

შევისწავლოთ და გავაანალიზოთ მსოფლიოში არსებული წინარე-ქართველური მემკვიდრეობები და მოვიძიოთ მათი პროტოქართველური: კოლხურ, ლაზურ, ჭანურ, პელაზგურ, მეგრულ, სვანური, იგრისული, იბვერიულ, იბერიული ფესვები.

ჩვენ ვცდილობდით, საზღვარგარეთ მყოფი ახალგაზრდებისთვის მიგვეცა ისეთი ცოდნის საფუძველი, რომ მათ შესძლებოდათ

დამოუკიდებლად მოეძიათ, (როგორც ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, ასევე საზოგადო ქსელში), არსებულ ფაქტებზე მსოფლიოში ცნობილ მეცნიერთა აზრი, შეესწავლათ, გაევლოთ პარალელი მიღებული ინფორმაციების მეშვეობით და განევრცოთ.

თავიდანვე დარწმუნებული ვიყავით ამ აზრის-იდეის სიცოცხლისუნარიანობაში და (2020 წლის მანძილზე) ჩამოვაყალიბეთ სამუშაო გეგმა.

რა მნიშვნელობისაა აღნიშნული პროექტი საზღვარგარეთ მყოფი ქართველი ახალგაზრდებისთვის?

არსებული იდეის მასშტაბიანობამ განსაზღვრა სამომავლო გეგმების გლობალურობა. მაგალითად, მსოფლიოში მიმოფანტული ქართველი მოზარდების მოზიდვა-დაინტერესება-გაერთიანება ერთი დიდი ეროვნული იდეის ირგვლივ. სწორედ, ამ აზრმა განსაზღვრა კონფერენციის ეროვნულ-სტრატეგიული გეგმა, საორგანიზაციო სტრუქტურა, თემატიკა, პრეზენტაციის კატეგორიები და კონფერენციის მიზნები.

აღნიშნულ პროექტში, საქართველოს გარდა, სხვადასხვა სახელმწიფოში მოქმედი ქართული სკოლის მოსწავლეების 240 მოზარდი დელეგატია ჩართული და 69 მეცნიერ-პროფესორი მუშაობს.

პროექტი დაჯილდოების ცერემონიალით და გრანდიოზული ღონისძიებით დასრულდა.

- რამდენად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა, იოანე ბოლნელის სახელობის სკოლის მოსწავლეები იყვნენ ლონდონის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის დელეგატები? ამ კითხვაზე სკოლის ხელმძღვანელი ნინო დევნოზაშვილი-შაინიძე გვიპასუხებს:

-ვფიქრობთ, აღნიშნული პროექტი მოსწავლეებს დაეხმარა სამშობლოს შეცნობაში, რომლის შენარჩუნება ხელისუფალთა ვალდებულება და თითოეული მოქალაქის ვალია. კულტურული მემკვიდრეობის დაცვას არა მხოლოდ ისტორიული და კულტურული ღირებულება აქვს, არამედ პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს ეკონომიკურ სიძლიერესთან. კონფერენციების თემატიკის შერჩევისა და იდეის განხორციელების ინიციატივა ეკუთვნით ლონდონის საკვირაო სკოლის ხელმძღვანელს ქალბატონ ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანს, ქალბატონ ეკა კარტოზიას. პროექტით გათვალისწინებული ათივე შეხვედრა ჩატარდა მაღალ დონეზე და მრავალფეროვნად. მოსწავლეები ესწრებოდნენ სემინარებს, ხვდებოდნენ მეცნიერებს, ეცნობოდნენ მათ ნაშრომებს, ამუშავებდნენ შემოთავაზებულ მასალას და დიდი პასუხისმგებლობით ემზადებოდნენ კონფერენციისთვის.

ათივე კონფერენცია მოიცავდა როგორც თეორიული მასალის დამუშავებას, ასევე პრაქტიკული დავალების შესრულებას. პროექტში „შეიმეცნე შენი სამშობლო“ ჩვენი სკოლიდან ჩართული იყო 14 დელეგატი. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობდნენ საზღვარგარეთ არსებული საკვირაო სკოლები, განსაკუთრებით საინტერესო და ამაღელვებელი იყო საზღვრებს გარეთ მცხოვრებ თანატოლებთან შეხვედრა და თანამშრომლობა..... მინდა უდიდესი მადლიერება გამოვხატო ორგანიზატორების, მოსწავლეებისა და ყველა მონაწილის მიმართ. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მოსწავლეებს, სამი წლის მანძილზე გაწეული დახმარებისა და თანადგომისათვის.

მარინე გავაშელი

ზაფხულთან დაკავშირებული დაავადებები

ზაფხულის ცხელი პერიოდის დადგომისთანავე მნიშვნელოვნად მატულობს მწვავე დიარეული დაავადებების შემთხვევები. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, დიარეული დაავადების შემთხვევათა 50%-ზე მეტი ზაფხულობით რეგისტრირდება, რაც დაკავშირებულია გარემოში მაღალ ტემპერატურაზე პათოგენური მიკრობების ცხოველმყოფელობის გაძლიერებასთან.

დიარეით მიმდინარე დაავადებათა/საკვებისმიერი ინტოქსიკაციების მაღალი მაჩვენებლები ზაფხულის პერიოდში ფიქსირდება როგორც ერთეული, ისე ეპიდაფეთქებების სახით (ჯგუფური შემთხვევები). ეპიდაფეთქებები უმეტესად უკავშირდება დაბინძურებული სასმელი წყლის მოხმარებას და მასიურ სუფრებზე არასწორად მომზადებულ-შენახული საკვების მიღებას.

ქვეყანაში რეგისტრირებულ შემთხვევათა უდიდესი წილი (60-65%) მოდის ბავშვთა ასაკზე, მოზრდილი ასაკის ავადმყოფთა შორის ფართოდ გავრცელებულია თვითმკურნალობის პრაქტიკა.

თვითმკურნალობა დიარეული დაავადებების დროს იწვევს დიაგნოსტიკის გართულებას, ხელს უწყობს დაავადება-გადატანილებში პათოგენური მიკროფლორის ბაქტერიამტარებლობის ფართოდ გავრცელებას და ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტული შტამების შექმნას, რეზისტენტული შტამების ფართო გავრცელება გარემოში კი სერიოზულ პრობლემებს უქმნის დიარეულ დაავადებათა მკურნალობასა და პაციენტთა გამოჯანმრთელებას.

იმისთვის, რომ წყლითა და საკვებით გადაცემადი დაავადებები ავიცილოთ თავიდან საჭიროა გათვალისწინებული იქნას შემდეგი რჩევები:

•წყალსადენში წყლის წყვეტილი მიწოდებისას, წყალმა სასურველია იდინოს არანაკლებ 10 წუთი და შემდეგ იქნას გამოყენებული სასმელად ან საკვების მოსამზადებლად;

•არ გამოიყენოთ სასმელად წყალი ადუღების გარეშე, თუ მის უვნებლობაში დარწმუნებული არ ხართ, ანადუღარი წყალი უსაფრთხოა მომდევნო 24 საათის განმავლობაში;

•სასურველია წყლის გამწმენდი სხვადასხვა ტიპის საოჯახო ფილტრების გამოყენება, უსაფრთხოა ცენტრალიზებული წყალსადენის წყალი, რომელიც იფილტრება და დეზინფიცირდება;

•მოხმარების წინ ცხოველური წარმოშობის საკვები, განსაკუთრებით ფრინველის, ღორისა და საქონლის ხორცი, თევზი, კვერცხი ძალიან კარგად უნდა დამუშავდეს თერმულად (შეიწვას ან მოიხარშოს);

•მომზადებული კერძი სასურველია მიიღოთ ჯერ კიდევ ცხელი ან მზა კერძი ქამის წინ კარგად უნდა გაცხელდეს;

•მომზადებული საკვების ხელახალი დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით, მაცივარში ცალკე უნდა შეინახოთ უმი და თერმულად დამუშავებული პროდუქტი. უმი პროდუქტი შეფუთული, ხოლო თერმულად დამუშავებული პროდუქტი - თავდახურულ ჭურჭელში;

•უმი და მოხარშული პროდუქტის დასამუშავებლად იქონიეთ ცალ-ცალკე დაფები;

•არ მიიღოთ უმი, ნახევრად მოხარშული ან შემწვარი კვერცხი, აგრეთვე გოგლი-მოგლი ან სახლში დამზადებული ნაყინი;

•საკვებად არ გამოიყენოთ ჭუჭყიანი ან გაბზარული კვერცხები;

•არ მიიღოთ აუდუღარი რძე და რძის პროდუქტები;

•სალათები უნდა შეიკაზმოს მაიონეზით ან არაუნით უშუალოდ სუფრაზე მიტანის წინ;

•მწვანილი და ხილი ჯერ უნდა ჩალბეს და შემდეგ გულდასმით უნდა გაირეცხოს გამდინარე, სანდო ხარისხის წყლით, სასურველია ხილი მიიღოთ საღი, ახლად გაფცქვნილი;

•სასურველია ზაფხულის პერიოდში უარი თქვათ მოხარშული და ათქვეფილი ნაღებით მომზადებული ტორტების და კრემიანი ნამცხვრების მოხმარებაზე, ან/და მათი მომზადებისას გამოიყენოთ მხოლოდ დაუზიანებელი, სუფთა ნაჭუჭიანი კვერცხი და ისეთი პროდუქტები, რომელთა შენახვის პირობები და ვარგისიანობის ვადები დაცულია;

•თუ მაინც გადაწყვეტთ ზაფხულის პერიოდში კრემიანი ნამცხვრებისა და ტორტების საკვებად გამოყენებას, გახსოვდეთ რომ მათი შენახვა შეიძლება 0°C -8°C ტემპერატურაზე, დამზადებიდან არა უმეტეს: ცილოვანი კრემებით და ხილით გაწყობილი - 72 საათი; ნაღების კრემით - 36 საათი; მოხარშული კრემით - 6 საათი; ათქვეფილი ნაღებით - 7 საათი;

•დაუშვებელია დიარეის (ფაღარათის) მქონე პირების მონაწილეობა საკვების მომზადებაში, ჰოსპიტალიზებულ ავადმყოფების, მოხუცებისა და ბავშვების მოვლაში;

•დაავადებათა კლინიკური ნიშნების გამოვლენისთანავე აუცილებელია მიმართოთ ექიმს;

•ექიმის მოსვლამდე თავი შეიკავეთ საკვებისა და ანტიბაქტერიული წამლების მიღებისგან. აუცილებელია ავადმყოფს დაალევინოთ ე.წ. ორალური სარეჰიდრატაციო საშუალებები ან ანადუღარი წყალი ან სუსტი ჩაი, რადგან ღებინებისა და ფაღარათისგან ორგანიზმი ბევრ სითხეს კარგავს;

•დაუშვებელია თვითმკურნალობა, არასწორად ჩატარებული მკურნალობა ხელს უწყობს ქრონიკული დაავადების ჩამოყალიბებას.

საბერძნეთის ნაპირებიდან პირად ტრიუმფამდე: AIESEC-ის გაცვლითი პროგრამა წარმატებას შთააგონებს

სამყაროში, რომელიც ყვავდება კულტურათაშორისი კავშირებითა და გლობალური გამოცდილებით, ახალგაზრდები ეძებენ შესაძლებლობებს, გააფართოვონ თავიანთი ჰორიზონტები და განავითარონ პირადი და პროფესიული ზრდა. ერთ-ერთი ასეთი გზაა AIESEC-ის გაცვლითი პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდების ტრანსფორმაციულ პლატფორმას, ჩაეფლონ უცხო კულტურაში, წვლილი შეიტანონ მნიშვნელოვან პროექტებში და დაიწყონ საკუთარი თავის აღმოჩენა.

ჩვენ ვისაუბრებთ ქეთი კურტანიძესთან, პროგრამის ერთ-ერთ მონაწილესთან, რომელიც ახლახან დაბრუნდა საბერძნეთის ექვსკვირიანი თავგადასავლიდან. ინტერვიუში გესაუბრებით გასაოცარ მოგზაურობაზე, გამოცდილებასა და მის მიერ მიღწეულ წარმატებებზე.

-შეგიძლიათ გვითხრათ თქვენი გამოცდილების შესახებ საბერძნეთში AIESEC-ის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობაზე? როგორ იმოქმედა თქვენს პიროვნულ და პროფესიულ ზრდაზე?

-თავდაპირველად ამ პროგრამის შესახებ ინტერნეტით შევიტყვე, ვნახე, რომ ეს პროგრამა იქნებოდა საუკეთესო საშუალება საკუთარი თავის რეალიზაციისთვის, ლიდერული უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის და ცხოვრებისეული სიახლეების გასაცნობად. ამ ორგანიზაციაში მოხვედრა ადრეც ვცადე, მაგრამ რადგან დიდი კონკურენცია იყო, მე კი ძალიან ახალგაზრდა და გამოუცდელი ვიყავი, არ გამიმართლა, თუმცა არ დავნებდი, მეორე მცდელობაზე გასაუბრება წარმატებით გავიარე და უკვე მარტივად მიმიღეს ამ ორგანიზაციაში. ამ ეტაპის გადალახვის შემდგომ უფრო დავრწმუნდი, რომ მიზანდასახულობასა და შრომას შეუძლია ადამიანი საუკეთესო შედეგებამდე მიიყვანოს.

-რა კონკრეტული მიზნები დაისახეთ პროგრამაში გაწევრიანებამდე და როგორ მუშაობდით მათ მისაღწევად საბერძნეთში ყოფნის ექვსი კვირის განმავლობაში?

-საბერძნეთში წასვლამდე ჩემი მიზნები ემსახურებოდა, ორგანიზატორული და ლიდერული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაშიც პროგრამა ძალიან დამეხმარა, რადგან იქ ყოფნისას თითქმის ყოველდღე გვიწევდა სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვა, რაც თავისთავად მოითხოვდა გუნდთან ერთად მუშაობას, ასევე გვიწევდა სხვადასხვა სახალისო სემინარისა თუ გაკვეთილების ჩატარება ლტოლვილებისთვის, რამაც ასევე ხელი შეუწყო ჩემი ლიდერული უნარ-ჩვევების დახვეწას.

-რა მიზანს ემსახურებოდა თავად პროგრამა?

-პროგრამის მიზანი იყო ახალგაზრდებში ორგანიზატორული უნარ-ჩვევების

გამომუშავება, ასევე კულტურის გაცვლა და ახალგაზრდებისთვის საზღვარგარეთ დამოუკიდებლად ცხოვრების გამოცდილება. რამაც ჩემზე დიდი გავლენა იქონია პიროვნული ზრდის თვალსაზრისით.

-როგორ შეირჩა პროგრამაში მონაწილე ახალგაზრდები და რომელი ქვეყნებიდან?

-პროგრამაში მოსახვედრად საჭირო იყო ინგლისური ენის კარგად ფლობა,

გამოცდილება პრეზენტაციების შექმნისას და Public speaking-ში. შემდეგ გავიარე გასაუბრება ჯერ ქართული ორგანიზაციის წევრებთან და შემდგომ უკვე მქონდა ონლაინ გასაუბრება საბერძნეთის წარმომადგენლებთან. ამ პროგრამისთვის სულ შეირჩა სამი მოხალისე: უკრაინიდან, იტალიიდან და საქართველოდან. ვიყავი საქართველოს ერთადერთი და პირველი წარმომადგენელი ამ პროგრამაში, რამაც პასუხისმგებლობის გრძნობა უფრო გამიმძაფრა.

-რა წვლილი მიუძღვის AIESEC-ის გაცვლით პროგრამას თქვენს პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაში?

-პიროვნული თვალსაზრისით უფრო მეტად გამაძლიერა და მიზანდასახული გამხადა, საკუთარ თავში თავდაჯერებულობა მაპოვნინა. როდესაც უცხო ქვეყანაში გიწევს დამოუკიდებლად ცხოვრება და ყოველდღიურ მცირე პრობლემებთან პირისპირ შეჯახება, საკუთარ თავში პოულობ თავდაჯერებულობას და უფრო ძლიერი ხდები. აგრეთვე პროფესიული თვალსაზრისითაც ლიდერული და ორგანიზატორული უნარ-ჩვევები შემძინა.

-იყო თუ არა რაიმე გამოწვევა ან დაბრკოლება საბერძნეთში ყოფნისას და როგორ გადალახეთ ? როგორ შეუწყო ხელი ამ გამოცდილებამ თქვენს პიროვნულ ზრდასა და გამძლეობას?

-როგორც ასეთი, დაბრკოლება ან გამოწვევები არ მქონია, რადგან იყო ძალიან კარგი და მეგობრული გარემო. იქაური მეგობრები, მედგნენ გვერდში და მეხმარებოდნენ ყველანაირად.

-გაგვიზიარეთ კონკრეტული პროექტი ან ინიციატივა, რომელშიც მონაწილეობდით.

-ერთ-ერთი პროექტი იქ ყოფნის განმავლობაში იყო, კულტურის გაცვლითი საღამოები, სადაც თითოეული ჩვენგანი აცნობდა თავიანთ კულტურასა და ტრადიციულ საჭმელებს ადგილობრივებს.

-თანამშრომლობდით თუ არა პროგრამის განმავლობაში სხვა მონაწილეებთან ან ადგილობრივ ორგანიზაციებთან?

-თანამშრომლობა ადგილობრივ ორგანიზაციის წევრებთან თუ სხვა მოხალისეებთან თითქმის ყოველდღე გვიწევდა, რადგან ერთად ვგეგმავდით სხვადასხვა აქტივობას. ასევე, პროგრამის ფარგლებში გვქონდა ურთიერთობა ამერიკიდან ჩამოსულ მოხალისეებთან, რომლებიც გვეხმარებოდნენ, ამ აქტივობების დაგეგმვასა და შესრულებაში.

-როგორ იმოქმედა AIESEC-ის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობამ თქვენს სამომავლო გეგმებზე ან კარიერულ მისწრაფებებზე?

-ამ პროგრამამ გამხადა უფრო მიზანდასახული. დამანახა, რომ ყველაფრის შესრულება შეიძლება, რასაც მიზნად დავისახავთ. აგრეთვე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, გამხადა უფრო დამოუკიდებელი, შემძინა ორგანიზატორული და ლიდერული უნარ-ჩვევები. დავხვეწე აგრეთვე პრეზენტატორული უნარი და Public Speaking-ი , რაც მგონია, რომ ჩემს სამომავლო კარიერაში დიდ წვლილს შეიტანს.

-და ბოლოს, რა რჩევებსა და შეხედულებებს გაუზიარებთ სხვა ახალგაზრდებს, რომლებიც განიხილავენ AIESEC-ის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობას?

- ახალგაზრდებს ვურჩევდი, რომ იყვნენ მეტად აქტიურები, მეტი იმუშაონ პრეზენტაციების შექმნაზე და არ მოერიდოთ საზოგადოების წინაშე წარდგენა, რადგან ეს მათ დაეხმარება ამ ორგანიზაციაში მოსახვედრად. ასევე ვურჩევ, იყვნენ მიზანდასახულები და არ შეუშინდნენ დაბრკოლებებს, თუ თავდაპირველად არ გამოუვათ, არ შეწყვიტონ და განაგრძონ ბრძოლა.

Hökumətin qərarına əsasən, bütün xərçəng xəstələri üçün şüa terapiyası və dərmanlar maliyyələşdiriləcək

Onkoloji xəstələrin tam dəyərli müalicəyə çıxış imkanlarını artırmaq üçün universal səhiyyə dövlət proqramında əhəmiyyətli dəyişikliklər edilmişdir. Ölkə üzrə bütün onkoloji xəstələr üçün hormon terapiyası, kimyaterapiya, şüa terapiyası və dərman preparatları maliyyələşdiriləcək. Onların arasında illik gəliri 40.000 laridən çox olan xəstələr də var. Dəyişiklikdən əvvəl bu xidmətlər maliyyələşdirilmirdi. Xəbər sığortalı veteranlara da təsir edəcək. Sözügedən qərara əsasən, universal səhiyyə proqramı çərçivəsində onkoloji xəstəliklərin müalicəsi gəlirindən asılı olmayaraq hər bir benefisiar üçün bərabər əlçatan olacaq.

Qoqi Meşveliani: Bizim üçün bərabər mühit yaratmaq vacibdir

Gürcüstan Parlamentinin Maliyyə və Büdcə Komitəsi sədrinin birinci müavini, Bolnisi, Dmanisi, Tetritskaro və Tsalkanın majoritar Qoqi Meşveliani Talaveri kəndində yaşayan qadınlarla görüşüb. “Bizim üçün bərabər mühitin yaradılması və qərarların qəbulu zamanı cəmiyyətin bütün üzvlərinin fikirlərinin nəzərə alınması vacibdir. Həyata keçirilən, cari və planlaşdırılan layihələrdən danışdıq. Kənd yerlərində yaşayan qadınların ehtiyaclarını dinlədik və onlarla çətinliklərin öhdəsindən gəlməyin yollarını müzakirə etdik.”- Qoqi Meşvelyan bildirib Görüş Bolnisi Bələdiyyəsinin Gender Şurasının təşəbbüsü ilə keçirilib və qeyd etmək lazımdır ki, Bolnisi sosial xidmət agentliyinin rəhbəri Tsitsino Muşkudiani və nümayəndələrin iştirak etdiyi iclasda ictimaiyyətə sosial statusun verilməsi prosesi ilə bağlı dolğun məlumat verilib.

Bolnisi bələdiyyəsində vətəndaşların təqdim etdiyi layihə ideyaları hansı mərhələdədir

Bolnisi bələdiyyəsinin 2023-cü il büdcəsində “Vətəndaş büdcəsi – büdcəni planlaşdır” çərçivəsində vətəndaşların təşəbbüsləri üçün 1.500.000 (bir milyon beş yüz min) lari nəzərdə tutulmuşdur. Layihə çərçivəsində ümumilikdə 5 təşəbbüs maliyyələşdirilib, hər bir layihənin dəyəri 300 000 lari təşkil edir. Layihələr Bolnisi Bələdiyyəsində səsvermə yolu ilə müəyyən edilib. Oktyabrın 31-də vətəndaşlar tərəfindən təqdim edilmiş layihə ideyalarına səsvermə başa çatıb, bundan sonra qalib layihələr müəyyən edilib: 1. Şəhər kinoteatrının konservasiyası-bərpası. 2. Futbol meydançası, oturma parkı və skeyt parkı ilə şəhər meydanının təşkili. 3. Tsurtavi kəndində meydanın salınması 4. Bolnis kəndində məktəbəqədər təhsil mərkəzinin müasir standartlara uyğun inkişafı. 5. Raçisubani kəndində meydanın təşkili. Bolnisi Bələdiyyəsinin Məkan Təşkili və İnfrastruktur Departamentinin rəhbəri Konstantine Kordzadze vətəndaşların təqdim etdiyi layihə ideyalarının hansı mərhələdən və necə həyata keçirildiyindən geniş danışıb. Layihə çərçivəsində 5 infrastruktur obyektinin təhvil verilməsi planlaşdırılır, Fariz kəndində mini stadion və meydançanın salınması işləri artıq layihələndirilib, bundan sonra tender keçiriləcək və yaxın vaxtlarda işlərə başlanılacaq, Həmçinin şəhərdəki kinoteatr binasının 1-ci mərhələsi davam etdirilir, burada hamam və dam örtüyü işləri aparılır. İkinci mərhələ üçün layihələndirmək lazımdır, bundan sonra qalan işlər həyata keçiriləcək. Şəhərdə, Athos küçəsində stadionun tərtibatının layihələndirilməsinə başlanılıb, Bolnis kəndində də layihələndirmə işləri aparılır, bundan sonra tikinti layihəsinə başlayacağıq. Raçisubani kəndinə gəlincə, yer seçimi ilə əlaqədar dizaynda kiçik problem yaranıb, lakin səs çoxluğuna əsasən kəndin aşağı hissəsində, kəndi birləşdirən turş su gedən cığırda meydan salınacaq. Ümumilikdə 2 layihənin tikintisinə başlanılıb və üç obyektin layihələndirilməsi tamamlanma mərhələsindədir.

Ən son davamlı qan qlükoza monitorinqi (CGM) sistemləri və onlardan istifadə etmək üçün mobil telefonlar 1-ci tip şəkərli diabet diaqnozu qoyulmuş uşaqlara pulsuz təqdim edilib

Medtronic-in ən yeni, 4-cü nəsil cihazı - Guardian 4 məlumatları göstərmək üçün kalibrləmə tələb etmir. Bu diabetə nəzarətin müasir texnologiyasıdır. Həm 3-cü, həm də 4-cü nəsil qurğular davamlı olaraq qlükoza səviyyəsini ölçür, qlükoza göstəricilərini qeyd edir və həyəcan siqnalı verir ki, bu da həyat üçün təhlükəli vəziyyətlərə tez reaksiya verməyə və qarşısının alınmasına imkan verir. Guardian 4 cihazı 7 yaş və yuxarı xəstələrdə tədqiq edilmiş və təsdiq edilmişdir. Şirkət nümayəndələri və mütəxəssislər Guardian 4-ün 7 yaşdan kiçik uşaqlarda istifadəsini tövsiyə etməyiblər. Müvafiq olaraq, qeyd olunan sistem 7-18 yaşlı gənclərə verilir. Guardian 3 sensorları 7 yaşdan kiçik uşaqlara verilməyə davam edir. Nazirlik yaşın aşağı salınması və 7 yaşa qədər uşaqların dördüncü nəsil cihazı ilə təmin edilməsi imkanlarını nəzərdən keçirərək, onların tövsiyələri əsasında Medtronic şirkətinin mütəxəssisləri və nümayəndələri ilə işini davam etdirir. Smartfonlara gəlincə, tətbiq əsasında sosial cəhətdən həssas qruplardan olan 1-ci tip şəkərli diabet diaqnozu qoyulmuş, ailə reytinqi 120 mindən çox olmayan uşaqlara, həmçinin 18 yaşınadək iki və ya daha çox şəkərli diabet xəstəsi olan ailələrə mobil telefonlar veriləcək. , - bu barədə nazirliyin yaydığı məlumatda deyilir

Bolnisi Aqro Mərkəzi də Bolnisi Bələdiyyəsinin dəstəyi ilə Qara Dəniz Şərab Festivalına qatılıb

Bolnisi Aqro Mərkəzi bu il ilk dəfə olaraq Bolnisi Bələdiyyəsinin dəstəyi ilə Qara Dəniz Şərab Festivalına qoşularaq yerli şərabçılıq zavodlarından müxtəlif növ yüksək keyfiyyətli, görkəmli, mükafata layiq görülmüş şərabları təqdim edib. Batumi_Festival Gürcüstan Mədəniyyət Mərkəzi tərəfindən avqustun 11-12-13-də Batumidə Əlifba Qülləsinin yaxınlığında yerləşən festival məkanında təşkil olunub. Festivalda Bolisi bələdiyyəsinin meri Davit Şerazadişvili iştirak edib. Ardıcıl üçüncü tədbir Gürcüstan Şərab Fondu, Gürcüstan Şərab Gildiyası və Turizm Administrasiyasının dəstəyi ilə təşkil olunub və tədbir çərçivəsində Bolnisi Aqro Mərkəzi Acarada istirahətə gələn və yerli sakinlərini Bolnisi mikrozonasında istehsal olunan müxtəlif seçilmiş şərabla qonaq ediblər. Black_Sea_Wine_Festival müxtəlif tədbirlər, master-klass, musiqi ifası, əyləncə, maraqlı, əyləncəli şou ilə bol və qonaqların 3 gün ərzində müxtəlif növ spirtli içkilərin dadına baxıb almaq imkanı əldə etmişlər. Qeyd edək ki, Batumi şəhəri hər il bir çox beynəlxalq festivalların/tədbirlərin keçirildiyi bütün Qara dəniz regionunun görkəmli, ən yaxşı turizm məkanlarından biridir və tədbirlərdə iştirak turizm potensialını nümayiş etdirmək üçün unikal imkan yaradır. Müxtəlif növ şərabların dequstasiyası ilə yanaşı, müxtəlif ustad dərsləri keçirilib. Bundan əlavə, ənənəvi olaraq sərgi çərçivəsində 3 nominasiya üzrə müsabiqə keçirilib və qalib gələn şərab müəyyən edilib və onlara qızıl, gümüş və bürünc medallar verilib. Müsabiqədə Bolnisinin 11 şərab zavodu müxtəlif nominasiyalar üzrə mükafatlandırılıb:

Böyük Qızıl Medal Şərabçılıq_Zedashe “Assuriya Qara” - 2022.

Qızıl medal Agroine “Rkatsiteli” 2022 , Şərabçılıq_yuxarı “Saferavi” 2022, Mamiseulis_Marani Tanuni Rosé 2022, Kobuladze_Marani “Saferavi” 2022, Qardaşlar Marani”Tavkveri” 2022 Qardaşlar Marani “Rkatsiteli” 2022 Qardaşlar.

შავი ზღვის ღვინის ფესტივალს, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ბოლნისის აგროცენტრიც შეუერთდა

შავი ზღვის ღვინის ფესტივალს, წელს პირველად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ბოლნისის აგროცენტრიც შეუერთდა და წარადგინა ადგილობრივი მარნების ადგილწარმოშობის დასახელების, მაღალი ხარისხის, გამორჩეული, ჯილდოს მფლობელი სხვადასხვა სახეობის ღვინო.

ბათუმის_ფესტივალი საქართველოს კულტურის ცენტრის ორგანიზებით, 11-12-13 აგვისტოს, ბათუმის ანბანის კოშკთან მდებარე საფესტივალო სივრცეში გაიმართა და მის მიზანს ქართული ტრადიციული ღვინის პოპულარიზაცია, ღვინის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და ხარისხზე ორიენტირებულ

მეწარმეთა მხარდაჭერა წარმოადგენდა. ფესტივალს ბოლისის მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი დაესწრო.

რიგით_მესამე_ღონისძიება ქართული ღვინის ფონდის, ქართული ღვინის გილდიის და ტურიზმის ადმინისტრაციის მხარდაჭერით მოეწყო და ბოლნისის აგროცენტრმა ღონისძიების ფარგლებში აჭარაში მყოფ დამსვენებლებსა და ადგილობრივ მოსახლეობას ბოლნისის მიკროზონაში წარმოებული, მრავალფეროვანი, რჩეული ღვინოებით უმასპინძლა.

Black_Sea_Wine_Festival დატვირთული იყო სხვადასხვა მრავალფეროვანი აქტივობით, მასტერკლასით, მუსიკალური წარმოდგენით, გასართობი, საინტერესო, სახალისო შოუთი, სტუმრებს 3 დღის განმავლობაში შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ და ადგილზე შეეძინათ სხვადასხვა სახეობის ალკოჰოლური სასმელი.

აღსანიშნავია, რომ ქალაქი_ბათუმი მთელი შავი ზღვის რეგიონში ერთ-ერთი გამორჩეული, საუკეთესო ტურისტული დანიშნულების ადგილია, სადაც ყოველწლიურად მრავალი საერთაშორისო ფესტივალი/ღონისძიება იმართება და ღონისძიებებში მონაწილეობა ტურისტული პოტენციალის წარმოჩენის უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა.

ღვინის მრავალფეროვანი ნაირსახეობების დაგემოვნების პარალელურად სხვადასხვა მასტერკლასი განხორციელდა. ამასთან, ტრადიციულად, გამოფენის ფარგლებში, კონკურსი გაიმართა და გამარჯვებული ღვინო 3 კატეგორიაში გამოვლინდა, რომელთაც ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები გადაეცათ.

კონკურსზე სხვადასხვა ნომინაციაში თერთმეტი ბოლნისური მარანი დაჯილდოვდა :

დიდი ოქროს მედალი მეღვინეობა_ზედაშე ,,ასურეთული შავი" – 2022წ.

ოქროს მედალი აგროვაინი ,,რქაწითელი" 2022

მეღვინეობა_ზედაშე ,,საფერავი" 2022

მამისეულის_მარანი თანუნი როზე 2022

ქობულაძის_მარანი ,,საფერავი" 2022

ძმების_მარანი ,,თავკვერი" 2022

ძმების_მარანი ,,რქაწითელი" 2022

ძმების_მარანი ბოვი ,,რქაწითელი/ საფერავი" 2022

შალოს_მარანი ,,რქაწითელი" 2020

შალოს_მარანი ,,საფერავი" 2020

ქობულაძის_მარანი ,,რქაწითელი" 2022

ქობულაძის_მარანი ,,საფერავი" 2020

ქობულაძის_მარანი ,,საფერავი" 2021

მეღვინეობა_ზედაშე ,,რქაწითელი" 2022

მეღვინეობა_ნუცმინო ,,საფერავი" 2022

მეღვინეობა_მურუმული ,,რქაწითელი" 2022

ჯაფარიძის_მეღვინეობა ,,რქაწითელი" 2022

მეღვინეობა_მუხიგული1770 ,,როზე" 2019

#მეღვინეობა_მადლიერი_მამა ,,საფერავი" 2022

შთამბეჭდავია აღნიშნულ კონკურსში მონაწილეთა და გამარჯვებულთა რაოდენობა, რაც დასტურია იმისა, რომ ბოლნისი განთქმული, ცნობილი და აღიარებული მუნიციპალიტეტია ღვინის წარმოების მხრივ და ინარჩუნებს ღვინის ხარისხს და სრულად აკმაყოფილებს მაღალ სამომხმარებლო მოთხოვნებს.

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: მაგდა დევნოზაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი.
სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.